




Legal expertise.
Business understanding.
It's all connected.

საგადასახადო & სამართლებრივი სიახლეები
აპრილი, 2021 წ.



“ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ” საქართველოს კანონი

დემპინგის განმარტება

2021 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა “ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ” საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც დემპინგი გულისხმობს პროდუქტის ადგილობრივ ბაზარზე განთავსებას მის ნორმალურ ღირებულებაზე დაბალ ფასად.

- ასეთ შემთხვევაში, პროდუქტის საექსპორტო ფასი, ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში, ნაკლებია ექსპორტიორი ქვეყნის ადგილობრივი ბაზრისათვის განკუთვნილი მსგავსი პროდუქტის შესადარ ფასზე;
- დემპინგისგან ადგილობრივი ინდუსტრიისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად, კანონით განსაზღვრულია ანტიდემპინგური ღონისძიებები - წინასწარი ან/და სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფების შემოღება;
- ანტიდემპინგური ტარიფის შემოღებამდე, კონკურენციის სააგენტო ახორციელებს შესწავლას და შესწავლის შედეგების შესაბამისად, მთავრობას წარუდგენს დასკვნას სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის შემოღების საჭიროებაზე;
- კონკრეტული ობიექტის შესწავლა იწყება ადგილობრივი ინდუსტრიის წერილობითი განცხადებით;
- სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფი შემოიღება არაუმეტეს ხუთი წლის ვადით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 15 თებერვალი 2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის No. 01-15/ნ ბრძანება “სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე”

ბრძანების მიხედვით, რომელიც ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტიდან, დამსაქმებელი ვალდებულია:

- წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია.
- 1 წლის განმავლობაში შეინახოს სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა საბოლოო წერილობითი ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით შევსებული და ხელმოწერილი;
- განსაზღვროს სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის წარმოებაზე/შეცვლაზე, შენახვაზე და დასაქმებულებისთვის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი ან სტრუქტურული ქვედანაყოფი;
- სამუშაო აღრიცხვის ფორმა, მათ შორის, უნდა მოიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:
 - ორგანიზაციის დასახელება;
 - ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულის/დანაყოფის/ქვედანაყოფის, როგორიცაა დეპარტამენტი, სამსახური, სამმართველო და ა.შ. სრული დასახელება;
 - შედგენის თარიღი;
 - საანგარიშო პერიოდის დაწყებისა და დასრულების თარიღები;
 - შესაბამისი თვის პირველ და მეორე ნახევარში ნამუშევარი საათების ჯამი;
 - თვის განმავლობაში ნამუშევარ დღეთა ჯამური რაოდენობა;
 - თვის განმავლობაში ნამუშევარი საათების ჯამური რაოდენობა;
 - თვის განმავლობაში ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ჯამური რაოდენობა;
 - თვის განმავლობაში ღამით ნამუშევარი საათების ჯამური რაოდენობა;
 - თვის განმავლობაში დასვენების, უქმე დღეებში ნამუშევარი საათების ჯამური რაოდენობა.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 15 თებერვალი 2021

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის No. 49 ბრძანება “მზღვეველის მიერ აქციების 10 პროცენტის ან 10 პროცენტზე მეტის უშუალო მესაკუთრისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ფორმისა და წესის დამტკიცების თაობაზე”

2021 წლის 12 თებერვალს ძალაში შევიდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის No. 49 ბრძანება „მზღვეველის მიერ აქციების 10 პროცენტის ან მეტის უშუალო მესაკუთრისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ფორმისა და წესის დამტკიცების თაობაზე“.

ბრძანების მიხედვით, მზღვეველი ვალდებულია:

- გამოაქვეყნოს სრული, ზუსტი, უტყუარი ინფორმაცია მზღვეველის აქციების 10 პროცენტის ან 10 პროცენტზე მეტის მფლობელი უშუალო მესაკუთრის შესახებ;
- ინფორმაცია მზღვეველის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ.

აღნიშნული ინფორმაციის შეცვლის შემთხვევაში, განახლებული ინფორმაცია მზღვეველის ვებგვერდზე უნდა განთავსდეს ცვლილების განხორციელებიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 15 თებერვალი 2021

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი

საქართველოს პარლამენტში ინიცირებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის პროექტით გათვალისწინებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტის შექმნა რიგ კომპანიებში.

- კანონპროექტის მიხედვით, შემდეგი დაწესებულებები იქნებიან ვალდებული, ჰყავდეთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი:
 - საჯარო დაწესებულება (გარდა რელიგიური და პოლიტიკური ორგანიზაციებისა);
 - სადაზღვევო ორგანიზაცია;
 - კომერციული ბანკი;
 - მიკროსაფინანსო ორგანიზაცია;
 - საკრედიტო ბიურო;
 - ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია;
 - ავიაკომპანია;
 - აეროპორტი;
 - სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მომსახურებას უწევს წელიწადში არანაკლებ 10000 მონაცემთა სუბიექტს.

- პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის მოვალეობაში შედის:
 - მონაცემთა დამუშავებლის, უფლებამოსილი პირისა და მათი თანამშრომლების ინფორმირება მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
 - მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციებისა და მონაცემთა დაცვის ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
 - მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზი და რეაგირება;
 - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისგან კონსულტაციების მიღება, მოთხოვნილი ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენის უზრუნველყოფა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი;
 - მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება.

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 28 მარტი 2021



დაგვიკავშირდით.
მოხარული ვიქნებით
მოგაწოდოთ
დამატებითი
ინფორმაცია, თუ რა
გავლენა შეიძლება
ჰქონდეს მითითებულ
ცვლილებებს თქვენს
ბიზნეს საქმიანობაზე.

სერგი კობახიძე

პარტნიორი, საგადასახადო
და იურიდიული პრაქტიკა
sergi.kobakhidze@pwc.com

ვანო გოგელია

იურიდიული პრაქტიკის
ხელმძღვანელი
vano.gogelia@pwc.com



აღნიშნული მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად. ამ მასალაში შემავალი ინფორმაციაზე დაყრდნობა შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ამ მასალით PwC არ იღებს არანაირ გარანტიას (გამოხატულს ან ნაგულისხმევს) ინფორმაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის შედეგებზე, გამოწვეული იქნება ეს თქვენი ან სხვა ვინმეს ქმედებით დაყრდნობა ამ ინფორმაციას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კონსულტაციების გარეშე.

© 2021 PwC. ყველა უფლება დაცულია. "PwC" ნიშნავს შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს როგორც წევრ ფირმას, და ზოგ შემთხვევაში PwC-ის ქსელს, რომელშიც შემავალი თითოეული ფირმა არის ცალკე და დამოუკიდებელი იურიდიული პირი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ www.pwc.com/structure.